

## მდინარე ვერეს გეოინფორმაციული სისტემა

ზურაბ ლაოშვილი, თამარ ჩიბარაშვილი, სერგო კვიციანიძე, მათე ხოფერია, ლაშა სამნიაშვილი, ლადო გრიგოლია, გიგა გრიგალაშვილი, დავით ანძაველიძე, რომეო ხაზალია, თორნიკე ჯიშკარიანი, ნათია კარიჭაშვილი, ნინო ლორია, ქეთი საგინაშვილი, ციკო ნიკოლაშვილი, ნათია კვიციანიძე, გვანცა მოსიძე, გიორგი მირზაშვილი, გუგა ქოჩლაძე, მარიამ ლომიძე

Tamari.chibarashvili2013@ens.tsu.edu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი  
ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის კვლევის ინსტიტუტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში დედამიწის მასშტაბით უკიდურესად გაუარესდა ადამიანსა და ბუნებას შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოეკოლოგიური წონასწორობა. ამის სამწუხარო მაგალითია 2015 წლის 13 ივნისს თბილისში, მდინარე ვერეს ხეობაში განვითარებული მოვლენები.

მიუხედავად იმისა, რომ მდ. ვერე პოტენციურად საშიში მდინარეების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლისთვისაც დამახასიათებელია პერიოდული წყალმოვარდნები, სათანადოდ არ არის გამოკვლეული. არ არსებობს თემატური რუკები, პროგნოზული სქემები ან ციფრული მოდელები, რაც აისახება ექსპერტების შეფასებებში თუ დებატებში.

პროექტის “მდინარე ვერეს გეოინფორმაციული სისტემა” ფარგლებში შეიქმნა ერთიანი პერსონალური გეომონაცემთა ბაზა (Personal GeoDataBase) სადაც განთავსდა მდინარე ვერეს შესახებ არსებული კარტოგრაფიული, გრაფიკული, ციფრული თუ სხვა ინფორმაცია, რაც ხელმისაწვდომია მდ. ვერეს თემატიკით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის.